ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 32-112

7 დეკემბერი
"___" _____ 2018 წ.

ქ. თბილისი

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ." ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ" და „კ" ქვეპუნქტების და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებაში (matsne.gov.ge, 23.12.2014 წ., 010340000.35.101.016058) და დადგენილების მე-2 პუნქტით დამტკიცებული დანართი № 2-ის დანართის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. სარგებლობის საფასური გადახდილ უნდა იქნეს თანაბარწილად, სააგენტოს მიერ განსაზღვრული პერიოდულობით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 12 თვეს. გადახდის ვადა აითვლება გადაწყვეტილების გაცნობის მომენტიდან".

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**